



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

კოლეჯი „განთიადი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 55

09 ივლისი 2019 წელი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი განთიადის დირექტორის 2018 წლის 15 ივნისის N 44 ბრძანების „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლეჯი „განთიადის“ წესდების მე-5 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2018 წლის 15 ივნისის N 44 ბრძანება „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
2. დამტკიცდეს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები დანართი N 1-ს შესაბამისად;
3. დაევალოს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა, (სახანძრო პირობების წარმოქმნის შემთხვევაში შედეგების ლიკვიდაცია, სტუდენტთა და კოლეჯის თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შენობის დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება) მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორს გიორგი ქარელს;
4. დაევალოს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ საქმის მწარმოებელს მარინე ამბრიაშვილს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების წესის განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გორის რაიონულ სასამართლოში (ქ. გორი სერგო ჯორბენაძის ქ. #30).

დირექტორი



ანა დათუაშვილი



დანართი N 1

დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის
2019 წლის 09 ივლისის 217890192 N 55 ბრძანებით.

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“ (შემდგომში -კოლეჯი) უსაფრთხოების წესები (შემდგომში - წესი)განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

მუხლი 2.ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1.კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა,რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

2.კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები.

3. კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას შესაბამის სამსახურს სატელეფონო ნომრით-112.

4. კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ვალდებული არიან:

- ა) შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო სამსახურსა და კოლეჯის ხელმძღვანელობას;
- ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით მიიღონ ზომები თანამშრომელთა (სტუდენტთა) და ქონების გადასარჩენად;
- გ) პერიოდულად შეამოწმოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მუშაუნარიანობა;
- დ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია გადაკეტონ გაზის, წყლის კომუნიკაციები. განახორციელონ სხვა ღონისძიებები რომელიც ხელს შეუწყობს შენობაში ხანძრის გავრცელების ან დაკვამლიანების თავიდან აცილებას;
- ე) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო, გარდა სამუშაოებისა რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;

ვ) გაიყვანონ საშიში ზონის გარეთ ყველა თანამშრომელი და სტუდენტი რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში. ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;

ზ) სახანძრო დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობების და ნაგებობების შესახებ, შენახული ნივთიერებების, მასალების ხანძარსაშიშ თავისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე;

თ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას მათთვის დახმარებას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;

ი) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვას;

კ) სახანძრო დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა;

ლ) გამართულ მდგომარეობაში იქონიონ ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები და არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

მ) განახორციელოს კონტროლი რათა მეცადინეობის დამთავრებისას კაბინეტებში, სახელოსნოებში და ლაბორატორიებში ყველა ფეთქებადი და ადვილად აალებადი სითხეები შენახულ იქნას სპეციალურად მოწყობილ სათავსოში;

5. კოლეჯის თითოეული თანამშრომელი (სტუდენტი) ვალდებულია:

ა) დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო წესები და შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები;

ბ) დაუყონებლივ შეატყობინოს სახანძრო დანაყოფს, ხანძრის ან წვის ნიშნების აღმოჩენის (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის და ა.შ) შემთხვევაში (ასევე დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, თავისი სახელი და გვარი);

გ) მონაწილეობა მიიღონ მატერიალური ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში;

დ) დაიცვან უსაფრთხოების ზომები ადვილად აალებადი სითხეების, ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალებისა და მოწყობილობების გამოყენებითი სამუშაოების შესრულებისას;

მუხლი 3. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.